SALOMENA

ბედრიხ სმეტანას „ლიბუშეს“ აფიშა



ალოფ ჩეხი

ნაციონალური თეატრის გახსნას ეღირსებოდა. საქმეს აფერხებდა სახსრების ნაკლებობა. მაგრამ ნიშანდობლივია ის გარეგნობა, რომ ამ წლების მანძილზე ხალხის ლანტიერელება არათუ კლებულობდა, პირიქით, თანდათან მატულობდა. ხალხს შექმნიდა თავისი შეწირულებანი სულ უფრო და უფრო მეტი ენთუზიაზმით, სანამ, ბოლოს, განხორციელებულ არ იქნა სასუკარი ოცნება.


1881 წელს საბოლოოდ გადაწყდა თეატრის გახსნა. გახსნის დღედ დანიშნა 11 სექტემბერი. მანამდე, ჯერ კიდევ დაუმთავრებელ შენობაში, იენისის განმავლობაში თორმეტი წამოიდგენა გაიმართა, რომელთაც მყურებლებმა დიდი ოვაციებით ეგებებოდნენ.

11 სექტემბერს პირველად უნდა გასულიყო ბედრიხ სმეტანას „ლიბუშე“, სპეციალურად თეატრის გახსნისათვის დაწერილი.

იოზეფ კაიეტან ტილი



მხატვარი მიკლამ ალექსი



ფრანტიშეკ ალოფ მუხერტი



მოხიარული ქეთო ჯავარიძე

ნინო ჩიხაძე



აბჭოთა საზოგადოებრიობა კარგად იცნობს სახელოვან მომღერალს ქეთო ჯავარიძეს. ქართულმა მსმენელმა ქეთო ჯავარიძემ შეეყარა მერქმონიერ და უშუალო სიმღერისათვის, ლამაზი, ხვეწილვანი ხმისათვის, აღამაინური უბრალოებისათვის. ამავე თვისებებით მიიქცია მისმა ხელოვნებამ ყურადღება საქართველოს გართევად, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში მოიხვეჭა მან სიყვარული და პოპულარობა.

იგი საესტრადო ხელოვნების ის ოსტატია, რომლის კონცერტები დიდხანს რჩება მსმენელს მესხიერებაში. ქეთო ჯავარიძე სამილვანო ანსამბლზე გაბოვიდა იმ დროს, როცა ჩვენი, ის იყო, ზუსტად იყავოდა საესტრადო ხელოვნება.

მას წოდებდნენ ფრიად საბატოო როლი—გამხდარიყო ქართული საბჭოთა საესტრადო ხელოვნების ერთ-ერთი პიონერი. ქეთო ჯავარიძე დაიბადა ქვიშეთში 1901 წელს, ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყვიფიანის სახლში. ქეთოს დედა — თამარ ყვიფიანი დიმიტრი ყვიფიანის ბიძაშვილი იყო.

ქეთოს მამა — კონსტანტინე ჯავარიძე სპეციალობით ვეილი. ცნობილი იყო, როგორც პუშკინის „პოლტავას“, ლერმონტოვის „დეშონის“ და მერკუროვსკის „საქაიანისა“ და სხვა ნაწარმოებების მთარგმნელი. ბავშვის აღზრდა და განვითარებაზე დიდი ჯალენი მიუხედავად მონიჭდა ყვიფიანს, რომელსაც მოლოცვება პატარა ქეთოსათვის ქართული სცენის სიყვარული.

თუცა მონიჭდა ყვიფიანს შინაური განათლება ჰქონდა, იგი შესანიშნავად ერკვეოდა მუსიკაში და ამ ვითი წარმართავდა თავიდანვე ბავშვის ნიჭსა და მისწრაფებებს.

ქეთო ჯავარიძე სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში. საყვარელ მასწავლებელთა შორის ქეთო განსაკუთრებით იგონებს კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილს, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მის შემდგომ ცხოვრებაში. ზაქარია ფალიაშვილი ამ სასწავლებლის გუნდის ხელმძღვანელი და სიმღერის მასწავლებელი იყო. ამ წლებში იგი ამთავრებდა „აბუსალომ და ეთერს“.

— 13 წლისა ვიყავი, — იგონებს ქეთო ჯავარიძე, როცა ზაქარია ფალიაშვილმა მამლერა ეთერის არია.

ბავშვობიდანვე ქეთოს გამოაჩნდა ძლიერი ჩემი. „160 კაცისაგან შემდგარი გუნდს ფარადე ჩემი ხმა. გატაცებული ვიყავი ზაქარია ფალიაშვილის სიმღერის გაკეთებებით, სხვა საგნები ჩემთვის არ სჩებოდა. კომპოზიტორს მისწონდა ჩემი ხმა, მანებერებდა, მაქებდა. როდესაც წამოვიზარა და სეროიზულად დაიწყე ჟირონი ლერმონტოვი, ზაქარია ფალიაშვილმა ვუცხადე ჩემს ხმას სიმღერატორიანი — სიმღერის მასწავლებლის ჯაყელის კლასში მომავალი.“ — წერს ქ. ჯავარიძე.

შემდგე ქეთო ჯავარიძე სწავლობდა ცნობილ ჰედაგოვან იტალიელ ვაგისტან და თანდათანობით ეუფლებოდა ვოკალურ ხელოვნებას.

სამბოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქეთო საქვედომებლო სასოფლოების საბავშვო ზღმში იყო მასწავლებელი.

ხშირად იმ საამოებზე, რომლებსაც ეს საზოგადოება აწყობდა, სიმღერებით გამოდიოდა ქეთო ჯავარიძე. კომპოზიტორი პროზოროვსკი, რომელიც მოხიბლული იყო ქეთოს ხმის ტემბრით, აკომპანიმენტს უწევდა, და ცდილობდა გაეწევა იგი მოზურ სიმღერებში.

ამ წლებში ქეთო ჯავარიძე გატაცებული იყო თეატრითაც. მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მამინე უკვე სახელმოხეველ მსახიობებთან (ვერიკო ანჯავარიძე, ნატო ვანიანი, უსმანე ჩხეიძე, მიხეილ კოპაიანი და სხვ.).

მაგრამ უკუღმართმა ბედისწერამ თითქოს ერთხელ კიდევ განიზრახა ხალხის სიმტკიცისა და უტეხი ძალის გამოცდა. თეატრის მშენებლობით მომუშავე ხელოსნების გაუფრთხილებლობით და მთელ რიგ უბედურ ვარკე მოგზაობა ცემო, 12 აკვისტოს, ღამით თეატრის ხანძარი გაუჩნდა, სცენა და მაყურებელთა დარბაზის დიდი ნაწილი ცეცხლმა განანდგურა. ადილი წარმოსადგენია, რა თაჯარი იყო ეს ხალხისთვის. მაგრამ ხალხი გლოვასა და სასოწარკვეთილებას არ მისცემია. მან კვლავ გამოამადგნა თავისი კაცისებური ნებისყოფა და ორი წლის შემდეგ — 1883 წლის 18 ნოემბერს შესრულდა ის, რასაც თითქოს განხორციელება აღარ შეეძრა — ნაციონალური თეატრი საბოლოოდ გაიხსნა და გადაიშალა მისი ბრწყინვალე ისტორიის პირველი ფურცელი.

ნაციონალური თეატრის შენობა შესრულებულია XIX საუკუნის ულამაზესი ჩეხური არქიტექტურით, რომელიც ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღის უქსანიანაშავის ძეგლებს მიეკუთვნება. ამ საქმეში დღევანდელი დავაწლი მიუძღვის იმ დროის შესანიშნავ ხელოვნებს, პრაღის უნივერსიტეტის ტექნიკური მეცნიერებთა პროფესორს, ჩეხოსლოვაკიის იოზეფ ზიტკეს, რომლის გეგმითაც აგებულია ნაციონალური თეატრის შენობა, თეატრის მხატვრობა შესრულებული იმდროინდელმა სახელოვნებამ მხატვრებმა: მიკოლაჟ ალუშმა, პინასმა, ვენიშკამ.

ნაციონალურ თეატრში მუშაობს სამი დასი — დრამატული, საოპერო და საბალეტო. ამ თეატრთან მჭიდროდა დაკავშირებული ჩეხური ოპერის განვითარება. საკმარისად დავასახელოთ ისეთი სახელები, როგორც არიან ბედრეხი მუჟანა, მისი ერთ-ერთი გამოჩენილი მიმღევიარი ანტონინ დვორაკი, რომელმაც თავის ინსტრუმენტულ კომპოზიციებში ფართოდ გამოიყენა სამხრეთ-სლავური მუსიკალური ფოლკლორი, ოსტრე-ვაენის ანსამბლბრანტციული მიმართულების კომპოზიტორი ზედუკი, ფიბინი, შორაკის კომპოზიტორთა ჯგუფის მეთაური ლეოპოლდ ინანაკი, აგრეთვე ი. ფიორსტერი, კ. კოვარცოვიჩი და სხვ.

დედამიწის ზურგზე, — არც ევროპა-აზიაში, არც ამერიკაში არ არსებობს მეორე ისეთი თეატრი, რომელიც თავისი ჩასახეთა და თავისი არსებობის ისტორიით იყოს დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, ისეთი სინამდვილით გამოიხატოს ხალხის უკეთილოობილები თენებანი და მისწრაფებანი, როგორიც პრაღის ნაციონალური თეატრია. ხალხი მას სიყვარულით „ოქრის სამლოცველოს“ უწოდებს და მივ უდიდესი მოწიწებით შედის.

ხალხმა შექმნა იგი, ხელოვნების დიდ ოსტატთა მთელმა თაობამ კი სული შთაბერა მის დიად კვლავობას, რამაც ასეთი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სმეტანას „ლიბუშეში“ დასკვნის აკორდებში. სცენაზე ჩეხების ლეგენდარული დღიოფალი ლიბუშე თავის ტომს ბრწყინვალე მომავლის უწინასწარმეტყველებს: „ხალხი ჩვენი ჩეხებისა არ მოკლდება“.

ხალხი არც მოკვდავარა „მან ჯოჯოხეთის საწინაღობანი ღირსებულად გადალახა“ და დღეს, ნაციონალური თეატრის დაარსების 75 წლისთავზე, როცა კლასობრივ უთანხმოება-შეჯახებებისაგან განთავისუფლებული ხალხი შედგებულა ისე, როგორც არსდროს, დიდების შთაბრუნდელი მოსილი გოლიათური ნაბიჯებით მიდის წინ ცაცისკრონეხული მომავლისაკენ.

ჩებათა ნაციონალური თეატრი ჩვენი დროში არა მარტო დიდებული წარსულის სადარჯოზე ღმგას, იგი ზუსტუნათებს ჩეხი ხალხის ახალ სპირიტის და ახალი ცეცხლით აღანთებს მშრომელთა მგზნებარე გულს.



რომლებიც ეხმარებოდნენ ნიჭიერ ქალს დაუფლებოდა სა-
ესტრადო ხელოვნებას.

გერიკო ანჯაფარიძემ და მიხეილ ჭიაურელმა დაითან-
შეს საქ. ფილარმონიის დირექტორი ტარუშვილი — მოესმინა
ანაღაზრდა მომღერლისთვის და გამოეყვანა იგი სცენაზე,
ტარუშვიმა ქეთო ჯაფარიძის მომზადება ესტრადი-
სათვის დააკისრა გამოცდილ ნიჭიერ ბიანისტს სერგეი ბა-
ზოუს.

„მე დავიწყე მასთან მეცადინეობა, — წერს ქეთო ჯა-
ფარიძე. — იგი აპროვებდა ძველი სიმღერებისა და რომან-
სების ფორფიტებს, გადააქონდა ნოტებზე და ასე მიქმნიდა
ასსიმღერო რეპერტუარს.

შვიდი თვის ყოველდღიური დაძაბული მუშაობის შემ-
დეგ, ტარუშვიმა მომიწყო საკონცერტო გამოსვლა თბი-
ლისის, მოსკოვისა და ლენინგრადის შესანიშნავ მსახიო-
ბებთან ერთად“.

ღელავდა ანაღაზრდა ქალი და მასთან ერთად ფილარ-
მონიის დირექტორი ტარუშვიცი — იგი დარბოდა კული-
სებიდან ფოიეში, აპროვებდა შთაბეჭდილებებს, რომ წყე-
ხალისებინა პირველად საჯაროდ გამოსული მომღერალი.

დებიუტმა მოლოდინს გადააჭარბა, — პირდაპირ მო-
ხიბლა თბილისის მაყურებელი. ამგვარად, 1935 წლიდან
ქეთო ჯაფარიძეს ვხვდავთ სცენაზე, როგორც პროფესიულ
მომღერალს. იგი საკუთარ საესტრადო კონცერტებს მარ-
თავს საქართველოს დედაქალაქში, შემდეგ ერევანსა, ბაქო-
სა, სოხუმიში და სხვაგან.

1937 წელს ქეთო ჯაფარიძე მიიწვიეს მოსკოვის და
ლენინგრადის ფილარმონიის სოლისტად. 1937 წელს 13
აპრილს მის პირველ კონცერტს მოსკოვის რევოლუციის სა-
ხელობის თეატრში იშვიათი წარმატება ხვდა.

ამის შემდეგ ქეთო ჯაფარიძე კიდევ უფრო მეტი პასუ-
ხისმგებლობით მუშაობდა.

„მე ვმეცადინეობდი რუსულ და ქართულ რომანსებს;
შევექმენი საკუთარი რეპერტუარი“, — გვიამბობს მომღე-
რალი.

განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია ლენინ-
გრადის კამერული მუსიკის თეატრში. დარბაზი გაქვდილი
იყო. კონცერტის დასასრულს ფეხზე წამოდგარმა ხალხმა
ოვცია გაუმართა. „მე შემოძლია ვთქვა, — წერს ქეთო ჯა-
ფარიძე, — რომ ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნი-
ერი წუთები. ადვილი როდი იყო მიმეცია ყურადღება ისე-
თი მუსიკალური კულტურისა და მაღალი გემოვნების მქო-
ნე აუდიტორიისა, როგორც ლენინგრადის საზოგადოებაა.
ლენინგრადი იყო ჩემი საესტრადო ხელოვნების წამახალი-
სებელი და ბიძგის მომცემი, ჩემი მეორე სამშობლო. მე
ვმღეროდი ამ ქალაქში ოთხ წელიწადს ზღვიზედ და ახ-
ლაც სიამოვნებით ვიგონებ ლენინგრადელების გულითა-
დობას“.

ქ. ჯაფარიძის კონცერტებს თან სდევდა მხურვალე გა-
მოძახილი. ამას მოწმობს ერთი საკულისხმო შემთხვევაც,
რომელსაც თვით მომღერალი აგვიწერს: „ეს მოხდა ქ. ია-
როსლავეში. კონცერტის წინ ჩემთან შემოვიდა ადმინის-
ტრატორი და მითხრა: რეპერტუკომმა ატეიკრძალათ ზოგიერ-
თი სიმღერის შესრულება, დაგიტოვათ მხოლოდ სამი რომა-
ნისი.“

ამან ჩემ ჩამაფიქრა, რადგან ყველა ის რომანსი, რომ-
ლითაც აუდიტორიაზე შთაბეჭდილება ვახდენდი, პროგ-
რაშიდან ამოვიღეს. მე მაინც გამოვედი სამი რომანსი-
თი.

პირველივე რომანსის შესრულებისთანავე ვიგრძენი,
რომ მაყურებელთან კონტაქტი დავაწყარე. დაეამთავრე
პროგრამა. ხალხი კი არ იშლებოდა. რამდენჯერმე აიხანდა
და ჩამოეშა ფარდა, დაუსრულებლად მიხიზობდნენ სცენა-
ზე. იმ დროს ვხვდავ კულისებში დგას ვიღაც კაცი და იქი-
დან მეპასუხება: — ხომ ხედავთ, რა ამბავია! ხალხი არ გაჩერდება, სა-
ნამ არ იშლებოდა.

— რა ვიმღერო, როცა რეპერტუკომმა...
— ხომ ხედავთ, რა ამბავია! ხალხი არ გაჩერდება, სა-
ნამ არ იშლებოდა.



ესტრადის ოსტრატო პირველი საჯაროი კონცერტის ლურჯატო,
რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტი ქეთო ჯაფარიძე.

უცნობმა სიტყვა გამაწყვეტინა:
— იმღერეთ, რაც გინდათ! რეპერტუკომი თვითონ მე
ვარ“.

დღითი დღე იზრდებოდა ქართველი მომღერალი ქალის
სახელი. მას საგასტროლოდ იწვევდნენ სულ მეტი და მე-
ტი ქალაქები. მისი კონცერტები მუდამ ოვაციებით თა-
ვდებოდა. ვაჟთები და აჭუნალები გულთბილი რეცნოე-
ბით ეხმაურებოდნენ.

მომღერალმა შემოიარა მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკო-
ვი, კიევი, როსტოვი, მინსკი, რიკა, ტალინი, ვილნიუსი,
ვლადივოსტოვი, კრასნოდარი, სარატოვი, ფრუნზე, ხაბა-
როვსკი, ტამპენტი, სევასტოპოლი, სტალინი, ერევანი, ბა-
ქო, ორჯინიკიძე და, ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი ქა-
ლაქი.

„აზერბაიჯანის“ სახალისის, ტაყეისტანის, უზბეკეთის



მსმენელნი ყოველთვის მხურვალედ ხედებოდნენ მომღერალს, ყოველთვის მქუხარე ტანით, შედახილებით, თაიგულებით აცილებდნენ სახალად.

მიღარი ვოკალური მონაცემები, შესანიშნავი დიქცია, საუცხოო ნოინათესავი, კეთილშობილი გრძნობის ფაქიზი გამობატვა — აი რა აძლევს მომხიბვლელობას ქეთო ჯაფარიძის საესტრადო ხელოვნებას.

აი, რას სწერს მას ერთი ლინერბადელი მსმენელი: „თქვენ მე ვნახეთ მხოლოდ ერთხელ ვიბორის კულტურის სახლში. თქვენ შეგი კაბა ტყვათა, ყვავილების კონით მკერდზე და იმის შემდეგ თქვენს სახე არ შორდება ჩემს წარმოდგენას. ვისმენ რა ფირფიტაზე ჩაწერილ თქვენს სიმღერებს ან თქვენს გამოსვლას რადიოთი, მე ნათლად წარმომიდგება თქვენი სანდომიანი სახე, სახე ნამდვილი ესტრადის მსახიობისა“.

ჩვენ გვასიხოს, თუ როგორ იტაცებდა ხალხი ქეთო ჯაფარიძის სიმღერებით აღბეჭდილ ფირფიტებს. მაღაზიის წინ უზარმაზარი რიგები იდგა ხოლმე.

დაღა 1941 წლის პირველი დღეები. კავკასიის ქედებისაკე ფაშისტთა ურდოები მოიწყვდნენ.

მედიოლანის შემოქმედებითი შრომა ომის მრისხანებაში შეცვალა. მეოღი საბჭოთა ხალხი კვეთა მტერი. ომი შეიჭრა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ მკაცრი ვითარების შესაპამისად ქეთო ჯაფარიძემაც შესცვალა რეპერტუარი, რომლის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ მაღალი პატრიოტიკული გრძნობის, გმირობის, მამაცობის გამოხატული სიმღერები („ხვალ, თუ ომი იქნება“, „გზა“, „სიმღერა შინაღვლე“ და სხვა).

მეოღი და ტექსტი მე შემიძლია ნახეარ საათში შევისრულეო, მაგრამ რომ ნამდვილად მოვახლოდო ისე, როგორც მე მესმის. ერთი თვე მჭირდება, — ასე ღიღ მითხოვს სურვილმა მუდამ ქეთო ჯაფარიძე თავის თავს, ინტენსიურად მუშაობდა კიდევ, რომ გაეხსნა სიმღერების იდეური შინაარსი, უფრო ახლო მისულყო საბჭოთა ადამიანის გულთან, რომელსაც ყველაზე მეტად საბჭოთა სინდერები აღაჯუნებდა. მომღერლის რეპერტუარიც შეივსო საბჭოთა კომპოზიტორების და პოეტების მიერ შექმნილი ლამაზი დღური სიმღერებით.

ამ სიმღერებში ქ. ჯაფარიძე ამკვიდრებდა მსმენელში ოპტიმისტურ განწყობილებას, ამხნიებდა ომში მიმადა ჯარისკაცებს, რაც არა ერთხელ აღუნიშნავთ ქართულ და რუსულ ჯარებებს.

მაგ. ქ. ორჯონიკიძის ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა წერილი, რომელიც მეტად საულისხმო და საინტერესო ფაქტს გადმოგვცემს.

„მე ახლა თავი არა მაქვს მოვისმინო ბოშური სიმღერები — წამობათა ერთმა თეატრალურმა მუშაკმა, როცა იგი ქეთო ჯაფარიძის კონცერტზე მიიპატიყცა. მე არ ვყოფილვარ ფრონტზე. — ახვადებდა ის, მაგრამ ცოტა ხნის წინ მე ჯაფარიძე ახლადღვენილი რკინიგზით და ვახზე მტრისაგან განადგურებული, დარბეული, გაძარცული ჩვენი ხალხი, და არ მესმის მსახიობს, რომელსაც უძვდის საბჭოთა გული, როგორ შეუძლია იმღეროს ღღის ისეთი ყანრის სიმღერები, რომელთაც მღერის ქეთო ჯაფარიძე. ამ თეატრის მუშაკის განცხადებამ ბევრი ჩააფიქრა, მაგრამ მაინც გადასწყვიტეს დასწრებოდნენ ქეთო ჯაფარიძის კონცერტს.“

რამდენიმე ნომრის შემდეგ... სცენაზე კვლავ გაისმა ქეთოს სიმღერა... ნაცობმა პანგებმა მიაოკნეს მსმენელთ

წარსული მშვიდობიანი დღეები, როცა ომი არ ღრმობდა მათ გულს, მაგრამ როცა კონფერანსიემ გამოაცხადა ქეთო ჯაფარიძე შესარულებს საბჭოთა კომპოზიტორების რომანსებზე და ამას მოჰყვა მის მიერ შესრულებული ახალი სიმღერა საბაძულო ომზე, დარბაზი ინერგოდა მქუხარე ტანით და ოვატიებით. ამ ამაღლებულმა სიმღერამ ააყრებლა დამსწრენი. აქა-იქ ხალხში ქეთოინი გაისმა, და ყველამ დაინახა, რომ მომღერალი ქეთო ჯაფარიძე მათთან იყო და მათთან ერთად იყვავდა სიმშობლის.

— დაიხ, არ იყო ცუდი დასვენება — ამბობდნენ ახლა კონცერტიდან დაბრუნებული თეატრის მუშაკები და მსახიობები, რომელნიც შეცდომაში შეჰყავდათ ზოგიერთებს, თითქმის ქეთო ჯაფარიძე მხოლოდ და მხოლოდ ბოშურ სიმღერებს მღერისა“.

იმავ ხანებში გაზეთი „ზარია ვესტოკა“ წერდა: „ღღე ქეთო ჯაფარიძის საესტრადო რეპერტუარში მკვეთრად ისმის პატრიოტიზმის ძლიერი ხმა, ხმა ხალხთა სიყვარულის და მეგობრობის. ღრმა გრძნობით ასრულებდა იგი „ფრანგი ღღის მიმართვას“ (მუსკა კომპოზიტორ ღღენა-ეუსკისა). ჩვენს წარმოდგენაში მამ შექმნა ნამდვილი ცოცხალი სახე მშვიდობის მომხრე ფრანგი ღღლისა. ასევე შესანიშნავად შესრულა მომღერალმა „რაიონიდა“, „ვიეტნამულ გოგონას სარწურა“ და სხვ.“

სამამულო ომის წლებში ქეთო ჯაფარიძეს ჰქონდა მეტად რთული და სასუსხისმგებლო სამუშაო. იგი თანამონაწილე იყო იმ მიძიე განცდებისა, რომლებიც გადაიტანა საბჭოთა ხალხმა ომის დღეებში. ომმა მომღერალს მოესწრო ხაზაროვსუღი. ომის წლებში თითქმის შორეულ აფროსაფეთში, მანჯურის საზღვრებზე და უკრაინის ფრონტის მოწინავე ნაზუ გაატარა. აუტანალი ყინვები, გაჭირვება, ათასი დაბრუნება გადაიტანა. დაღივდა მოზოგოლურ ბეჭენი ქურში, დაბამულ მარტალში. წითელი არმიის ნაწილებსა და პოსტლებში კონცერტების ჩასატარებლად სოფლიდან სოფელში ფურცლებით გადადიოდა. მის კონცერტებზე საყაყეებით მოჰყავდათ დასახირებულნი, უფებრად და უხელოდ დარჩენილი მეომრები.

არა ერთხელ მთელი შემოსავალი ქეთო ჯაფარიძის კონცერტიდან მილიანად თავდაცვის ფორში გადაურიცხათ.

ქართულმა საბჭოთა კინემატოგრაფიამ ასახა კიდევ კინოფილმ „ჯურღაის ფარში“ ქეთო ჯაფარიძის ეს დაძმახურება საბჭოთა არმიის წინაშე გაევისნესოთ ამ ფილმის ერთი ეპიზოდი:

თბილისიდან საქართველოს სამხედრო გზით ფრონტისაკენ მებრძოლთა რაზმი მოემართება. გზაში, მინარისის გასასვლელ ბორანზე, მებრძოლები ხვდებიან მომღერალს ქეთო ჯაფარიძეს. ურიტობდაცანობის შემდეგ, რაზმის მათური კაპიტანი (მ.ს. მ. გრიშკო) სინაზულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ მას ბევრჯერ სენება ქეთო ჯაფარიძის ხმა, მაგრამ არ უნახავს იგი: ახლა კი, პირიქით, ხედავს მას და მისი ხმა კი არ ესმის, „ეს ადგილად გამოსასწორებელი საქმე“ ღღიობთ მიუვებს ქეთო ჯაფარიძე და ასრულებს ა. ბალანჩაიძის სიმღერას „გადასასვლელთან“. მალე ამ სიმღერის მელიოლობის ცვლის სოლოვოფ-ვისის ცოხობილი სიმღერა „საღამოს რეილე“.

გზა, რომელიც გაიარა დამსახურებულმა მომღერალმა და საესტრადო მსახიობმა პირველი საყავარი კონცერტის ლაურეატმა ქეთო ჯაფარიძემ, შინაარსიანი ცხოვრებით და ხალხის უანგარო მსახურებით აღბეჭდილი გზაა.





МИНИСТЕРСТВО КУЛЬТУРЫ СССР МИНИСТЕРСТВО КУЛЬТУРЫ ГССР



ГРУЗИНСКИЙ
ГОСУДАРСТВЕННЫЙ
ОРДЕНА ЛЕНИНА




ТЕАТР
ИМЕНЕ

РУСТАВЕЛИ

А. КИACHEЛИ

Шариса
ГОЛДА

ПЬЕСА В 3-Х ДЕЙСТВИЯХ



ხახურის ღვთისმშობლის კარელი ხატი

რუსუდან ყენია

ქართულ მხატვრულ კულტურაში ოქრომჭედლობას თვალსაჩინო ადგილი უკავია. იგი, არქიტექტურასთან ერთად, წამყვან დარგად გვევლინება ქართულ შუასაუკუნეების ხელოვნებაში. როგორც განათხარი მასალები გვიჩვენებენ, ჯერ კიდევ ძველი დროიდან მოყოლებული, საქართველოში ოქრომჭედლობას დიდი გამოყენება ჰქონია და მეტად განვითარებულიც ყოფილა. თრიალეთის ყორღანებში ნაპოვნი ნივთები, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულს მიეკუთვნება, ახალგორის (VI—V საუკ.) და არმაზის (II ს. ჩ. წ.) გათხრები უძველესი, წინა ქრისტიანული დროის, ოქრომჭედლობის ძეგლების მიღიარ მასალას იძლევიან.

შუასაუკუნეებში დიდ განვითარებას მიაღწია აგრეთვე ქართულმა ოქრომჭედლობამ.

მიუხედავად მრავალრიცხოვანი რბევისა და აოხრებისა, რომლებიც განიცადა საქართველომ საუკუნეების მანძილზე, დღემდე მოღწეულია ოქრომჭედლობის ძეგლთა უძლიერესი, მსოფლიო მნიშვნელობის კოლექცია. ქრისტიანული ხელოვნების აღრინდელი ნიმუშები დღემდე არ შეინახულა. VIII—IX საუკუნიდან მოყოლებული კი შემორჩენილია ძეგლთა დიდი რაოდენობა, რომლებიც გვიჩვენებენ ოქრომჭედლობის განვითარების უწყვეტ ხაზს შუასაუკუნეების მთელს მანძილზე XIX საუკუნის ბო-

ლომდე. ამ პერიოდში შექმნილი ძეგლები მაღალხარისხოვან მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენენ და იკავებენ ადგილს მსოფლიოში განთქმული ძეგლების გვერდით.

ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებმა მკვლევართა ყურადღება ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიიპყრეს, მაგრამ მათი მეცნიერული შესწავლა სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ დაიწყო, დაიწყო მაშინ, როდესაც მოწესრიგდა მათი დაცვა-პატრონობის საქმე და ჩასოყალიბდა ქართული ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერება, რომელმაც შესწავლის საგნად გაიხადა ხელოვნების ყველა დარგი და ყურადღება მიექცა ხელოვნების ხიბუშებს, როგორც დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოებებს.

გასული საუკუნის მკვლევართ მცირე ხელოვნების ძეგლები აინტერესებდათ მხოლოდ, როგორც ისტორიული ძეგლები. ისინი მათთვის დამხმარე მასალა იყო, რომლებიც საბოლოოდ იძლეოდნენ საქართველოს ისტორიასათვის, ან საინტერესო იყვნენ პალეოგრაფიის მხრივ. ჭედური ხელოვნების ძეგლები განხილვებიდან არქეოლოგიური თვალსაზრისით, ხელოვნებათმცოდნეობრივი ანალიზის გარეშე, რის გამოც სამეცნიერო ლიტერატურაში დიდხანს იყო შერჩენილი დასავლეთ ევროპის მეცნიერთა მიერ შემუშავებული აზრი, თითქოს დამოუკიდებელ



მარტენა კარის დეტალი

მნიშვნელობას და ღირსებას მოკლებული ქართული ხელოვნება. ბიზანტიური ხელოვნების პროვინციულ განშტოებას წარმოადგენდა. ეს გარემოება მეცნიერების განვითარების იმდროინდელი დონითაც უნდა აიხსნას. აღმოჩენათის სხვა ქვეყნების შუასაუკუნეების ხელოვნების ძეგლები არ იყო იმდენად დამუშავებული, როგორც ბიზანტიური ხელოვნების ძეგლები, ამიტომ მათ საწონადა ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშები იყო აღებული. ამ წინააღმდეგობრივად და ღირსშესანიშნავი ხელოვნების მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი ძეგლები მოქცეული იყო ბიზანტიური ხელოვნების ძეგლთა რიცხვში. ანა მარტო ძეგლები ხელოვნება, ქართული ხელოვნების არცერთი დარგი არ განიხილვებოდა დამოუკიდებლად მხატვრულ მოვლენად, რომელსაც გააჩნდა თავისი საკუთარი განვითარების გზები და გამოხატვის სპეციფიკური საშუალებანი. ამ გარემოებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. არ იყო სისტემატური კვლევა-ძიება. და ბოლოს, მცირე ხელოვნების ძეგლები გავანტული იყო საქართულოში მიერ ჩარიტორიაზე — ეკლესია-მონასტრებში. არ იყო თავმოყრილი ერთად, რაც საშუალებას მისცემდა მკვლევარს მათზე ღრმა დაკვირვებისა და შესწავლისათვის.

მიუხედავად ამისა, გასული საუკუნის ქართველმა მკვლევარებმა გარკვეული მუშაობა მაინც ჩაატარეს. მრავალრიცხოვანი ექსპედიციებისა და მოგზაურობების დროს მათ მიერ დიდი რაოდენობით იქნა აღრიცხული და ფოტოგრაფირებული მცირე ხელოვნების ძეგლები. ამ მხარეა უნდა აღინიშნოს დ. შაქრაძის, ძ. იოსელიანის, გ. წერეთლისა და, განსაკუთრებით, ე. თაყაიშვილის ღვაწ-

ლი ქართული კულტურის წინაშე. ამ მეცნიერთა შრომების წყალობით დიდი იაფი თვგლის ადგილას შემოხსნილი, როდობეც აკაჰადა უკვე დაღუპულია.

მაგრამ მართო ადგილობრივი აღწერა შედეგს არ იძლეოდა, რადგან ეკლესია-მონასტრების სწორი ძარცვის გამო იკარგებოდა ბევრი ძეგლი, ხოლო სამონასტრო სალაროების სარდაფების სინესტე საბუნებისწერო დაღს სავამდა ქართული ხელოვნების ძვირფას ქმნილებებს. სამუდამოდ დაიღუპა და სინესტის გამო დაზიანდა ჭედური ხელოვნებისა და უძველესი ქართული მინაწერების მრავალი ნიმუშები, ბევრმა კოლექციონერმა (ზენეიგორდსკიმ, ზოტკინმა, ბაზინსკიმ და სხვებმა) ვამიღირა თავიანთი კოლექციები საქართველოდან გატაცებული ქართული მინაწერებისა და ჭედური ხელოვნების უნიკალური ძეგლებით.

მართალია, დ. შაქრაძისა და ე. თაყაიშვილის დაუღალავი შრომის შედეგად, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩაყარა საფუძველი მცირე ხელოვნების ძეგლთა შეგროვებას და მუზეუმების ჩამოყალიბებას, მაგრამ სისტემატური ხასიათი მან მხოლოდ სამართა ხელისუფლების დაწყების შემდეგ მიიღო. დაასრულა მუზეუმები, ჩამოყალიბდა მუდმივი ექსპოზიციები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მცირე ხელოვნების ძეგლთა მეცნიერულ შესწავლას.

გამოიჩინა ქართველმა მეცნიერმა გ. ჩუბინაშვილმა, პირველმა მეცნიერულად დაამტკიცა და დაასაბუთა ქართული ხელოვნების დამოუკიდებელი, ეროვნული მხატვრული სახე, მისი ხალხური საწყისები. ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცალკეული ძეგლების თხოვრავიული დამუშავების გზით, აკად. გ. ჩუბინაშვილმა გამოავლინა თავისებურებათა, რომლებიც დაახასიათებელი იყო ქართული ხელოვნებისათვის. მან ბასები გასცა იმ მკვლევართ, რომლებიც არასწორად წარმოგვიდგენდნენ ქართული ხელოვნების თავისებურებას. მცირე ხელოვნების ძეგლების გაშუქება, როგორც დამოუკიდებელი ხელოვნების ნაწარმი შეგება, ეს იყო მიზანი, რომელიც იმითათვე დაისახა მეცნიერმა. მცირე ხელოვნების ძეგლები, რომლებიც უწარსულში არქეოლოგიურ ნივთთა გროვას წარმოადგენდნენ, გ. ჩუბინაშვილის შრომების წყალობით გაშუქებულ იქნა, როგორც ხელოვნების ნაწარმოებები, რომელთაც გააჩნდათ განვითარების საკუთარი გზები და მნიშვნელოვანი ადგილი იქონია ქართული კულტურის ისტორიაში. რაც მთავარია, გ. ჩუბინაშვილის მიერ გამოვლენილი იქნა ქართული ობიექტუალურობის განვითარების რთული პროცესი, ევოლუციის მნიშვნელოვანი ეტაპები. ამასთან, მკვლევარის მიერ დადგენილი იქნა, რომ ქართული დეკორატიული პლასტიკა, რომელმაც თავისი სრული სიმწვევს X-XI საუკუნეებში მიაღწია, ერთი საუკუნით ადრე დაადგა ზოგადი მოვლენობით ფორმებისა, საკუთრივ სკულპტურული, სხეულის ცალკეული ფორმების პლასტიკური დამუშავების გზას. ვიდრე ეს დასაჯული ერთობა მოხდა. მჭიდური ხელოვნების ძეგლები ამჟამად ძირითადად თავმოყრილია საქართველოს ოთხ სახელმწიფო მუზეუმში: თბილისის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ქუთაისისა და ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმებსა და სვანეთის — მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

შუასაუკუნეების, კერძოდ XI-XII საუკუნის, ქართულ ჭედურ ნაკრებს შორის გამოიყოფა დიდი ზომის კარული ხატი, რომელიც ცნობილია ხაზოლის ღვთისმშობლის ხატის სახელწოდებით. თავისი გარეგნული სახით — მიღრული დეკორატიულობით და ზომით ხაზოლის ხატი უნიკალური ძეგლია. მას არა მარტო ქართულ ძეგლებს შორის არ მოეძებნა თანატოლი, მსოფლიო ძეგლებს შორისაც იშვიათად იგვხვებით ასეთი დიდი ზომისა და ასე მიღრული დადამუშავებული ქვეყნის ხელოვნების ნიმუში. დასალოთ ერთობა მკვლევარსა სამართადაც ადარებენ მას. ზომის მხრივ, მალე ჯიროს, რომელიც მოთავსებულია სან მარ-


კოს გელესიის საკურთხეველში (ვენეცია). ასეთივე, საკურთხეველის წინა დიდი ზომის ძველს ვხვდებით, აგრეთვე, მილანოში, სან ამბროჯოში — აალიოტი ვილენიუსისა. მაგრამ ორივე ეს ძეგლი, ხახულის ხატის მსავსად, ცალკეულ ხატებს კი არ წარმოადგენს, არამედ საკურთხეველის წინ არიან მოთავსებული, კედლის სახით აღიღებენ და საკურთხეველს გამოჰყოფენ შიდა სივრცისაკენ.

ამრიგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხახულის ხატი წარმოადგენს დიდი ზომის კარელ ხატს (ტრაპიტიკონს), რომლის სიმაღლე 1,47 სმ უდრის. სიგანე (ვაშლილი კარებით) 2,02 სანტიმეტრია. კარელი შილიანად მოჭედილია ლითონით, რომელზედაც ქედღობით სტილიზებული ფოთლოვანი ორნამენტია შესრულებული და მორთულია სხვადასხვა ზომის მინანქრის ლორწვნებით, მცირე და დიდი ზომის მინანქრის ჯერებითა და დიდალი ძვირფასი ქვებით.

კარელი სპეციალურად ვედრების ღვთისმშობლის ხატისათვის იყო გაკეთებული და მის ცენტრში ჩასვენებული. სავარაუდებელია, რომ იგი მოჭედილი იყო ლითონით, ხოლო სახე და ხელები მინანქრით იყო შესრულებული. ღვთისმშობლის ეს ხატი თავდაპირველად ხახულის მონასტრის¹ საკანძარის წარმოადგენდა, რის გამოც ხატს და შემდეგში შილიანად მის შესანახ კარელსაც ხახულის ღვთისმშობლის სახელი ეწოდა.

ხახულის მონასტრიდან ღვთისმშობლის ხატი გელათის მონასტერში იქნა გადატანილი, ამიტომაც ისტორიული საბუღები (სიგელეში, მამულის ყიფისა და სხვ.) მას „ხახულისა და გელათის საკურთხეველის ღვთისმშობელს“ უწოდებდნენ. თუ როდის გადაიტანეს იგი გელათის მონასტერში, ჯერჯერობით ზუსტად არ არის დადგენილი. მკვლევარნი მას სხვადასხვა დროს მიაწერენ. ვასული საუკუნის ცნობილ მ. ლევანს ვ. წიგნით ხატის ვადმოტანის თარიღად დასახელებული აქვს XVI საუკუნის დასაწყისი.² პროფ. შ. ამირანაშვილი ვარაუდობს, რომ თავდაპირველად მინანქრის ღვთისმშობლის ხატი XI საუკუნეში სელაუტა შემოსევის გამო ხახულის მონასტრიდან ჯერ იმერეთში გადაიტანა, ხოლო შემდეგ იგი გელათის მონასტერში დასვენებულა.³ პროფ. ე. თაყაიშვილი კი მის ვადმოტანას XII საუკუნეს მიაწერს.⁴ საფიქრებელია, რომ დავით აღმაშენებელმა, რომელმაც საქართველოს ყველა კუთხიდან შეკრიბა ძვირფასი ნივთები მის მიერ ახლად დაარსებულ გელათის მონასტრისათვის,⁵ მათთან ერთად ხახულის ღვთისმშობლის მინანქრის ხატიც ვადმოტანა და მის მთავარ ვუამბოთიან გელათში (რომელიც აგრეთვე ღვთისმშობლის სახელი მიეძღვნა) საკურთხეველთან დასაყენა. სწორედ აქ, გელათის მონასტერში ვადმოტანის შემდეგ გაუქვითა მას დღემდე მოღწეული, მინანქრის ღვთისმშობლის შესანახი კარელი.

კარელზე ამოკიდულია წარწერა, რომელიც ზუსტად ფარგლავს მისი შესრულების დროს. წარწერა მოთავსებულია ორივე კარელის ქვედა ნაწილში, ამოჭედილია ასო-



მაჩაყვენი კარის ღატლი

მოჭრული ასოებით, იამბიკურ ლექსად. წარწერაში მოხსენებულია დავით IV, აღმაშენებელი, და მისი ძე დემეტრე. მეორე დავითი, რომელსაც წარწერა იხსენიებს, დავით წინასწარმეტყველია, რომლის შთამომავლებსაც სივლიდნენ თავს საქართველოს მეფე ბაგრატიონები.⁶

დავითი ნახსენებია წარწერაში, როგორც ხატის პირველი შემკობი, დემეტრე მეფის წინაპარი, ხოლო დემეტრე მეფე, როგორც მისი უფრო მეტად გამამშვენებელი და ხატის ძეობით მფლობელი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კარელის მოჭედვად დემეტრე მეფის დროს 1125-1156 წლებს შორის, ე. ი. XII საუკუნის I ნახევარში მომხდარა. ამას საცხებო შეფარდება კარელის როგორც მხატვრული ხატი, ასევე ქედღობის შესრულების ხასიათიც.

შუასაუკუნეების ქართულ ხატებს შორის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა ხახულის ღვთისმშობლის ხატი, მისი სახელი საუკუნიდან საუკუნეში ვადდილიდა და მუდამ ვედრებისა და თავანისცემის საგანს წარმოადგენდა.

ხატს ძვირფასი შენაწირი ჰქონდა. დავით აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული, სხვა რიციც შეწირულა მასთან ერთად, ომში გამარჯვებული ყოილი ქართული მეფე ძვირფასი შენაწირს უკავშირდა ხახულის ღვთისმშობელს. თეთი დავით აღმაშენებელმა თავისი თვალ-მარგალი-

¹ ხახულის მონასტერი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ პრაივიტო ტრაში (ანჭყაძე თეოდორის ტერიტორია). ხახულის მონასტრის აღწერისას პროფ. ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ვადმოტანის მიხედვით ღვთისმშობლის ხატი ამ მონასტრის მთავარი ეკლესიის მარცხენა ნიშში ყოფილა დასვენებული. იხ. ე. თაყაიშვილის შრომა — 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის სამხრეთ საქართველოში. თბ. 1952 წ. გვ. 69 (რუსულ ენაზე).


² ვ. წარწერა. გელათის მონასტრის წარწერათა სრული კრებული, მოსკოვი, 1891, გვ. 249 (რუსულ ენაზე).

³ შ. ამირანაშვილი, ბეჭედი ოპიზატი, 1956 წ. გვ. 39.

⁴ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის სამხრეთ საქართველოში. თბ. 1952 წ. გვ. 69 (რუსულ ენაზე).

⁵ იხ. ქართლის ცხოვრება, დავით აღმაშენებლის მემატიანე, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითად ხელნაწერების მიხედვითა და წყბნაშვილის მიერ. ტ. I 1955 წ.

⁶ ლევანდა, ბაგრატიონების დავით წინასწარმეტყველის შთამომავლობის შესახებ, საქართველოში სხვა კლდე IX საუკუნეში იყო ენიშნული, ხოლო შემდეგ იგი ფართოდ გავრცელდა მეზობელ ქვეყნებშიც; ამ ლევანდას გავრცელებამ ხელ შეუწყო ბაგრატიონთა დანაწილის განმტკიცებლად. ე. თაყაიშვილის სუბსტა დავითის მის ქრონიკა ტრაკლარკეთის ბაგრატიონთა შესახებ; მასალა სამართაულის ციკლის ისტორიისათვის. ნაგ. 27. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ვამბო. თბ. 1949 წ. გვ. 22-23.



მარგვენი კარის წარწერა

ტი ხატს უანდრძა.ჩემნი აღალნი (ლალნი) და თვალ-მარგალიტნი ხახულის ღვთისმშობლისა შემოწირავს. — წირს იგი თავის ანდერძში.7 ხოლო შანჭორის სახელგონ ომში გამარჯვებულმა თამარ მეფემ უმოთაერესი ნადავლი და ხალფის დროშა, — „ქართველთ უღვკამოსილების ეს ძვირფასი ნიშანი“, „წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა, წინაჲუ ხახულისა ღვთისმშობლისა, მსკავსად მამა-პაპისა მათისა. ვითარც მამინ დიდსა ღვთის წარგზავნა მოძრ-ცელი ქედისაგან დორბეზსა და ყიას ძეს, დიდგვართა მანიაი ოქროსა, შექმული თვლებითა ძვირფასითა, მიწუხად ძვირისა შეწირვისასა და მეფდრებლობისა...“8

ასევე სწირავენ შემდეგ საუწყებშიაჲ ხატს საქარ-თველის მეფეები. იმერეთის მეფის ალექსანდრე II 1509 წლის შეწირულობის წერილთან გუბულობით. რომ მას ხახულის ღვთისმშობლისათვის შუწირავს სხანჯი მიწები, ტყით, ველითა და მოსახლეობით, რომელთაც ამ მიწის შემოსავლი ხატისათვის უნდა მიერთებინა.9 ხოლო მოძღ-ვრეთ-მოძღვარმა ილარიონმა ხატს მეფეთ მეფის ალექსან-დრეს სულის მოსახსენებლად შესწირა ერთი კომლი, რომელთაც ყოველ თვეობით ლიტრის საწიელი უნდა მიეტანა ხატისათვის.10 დღათვის ასულმა მარიაშა იაქუნდის და ზურმუხტის თვლებით მოქედილი ოქროს კანელი უქდ-ენა ხახულის ღვთისმშობელს. — წარსამართლებლად: მე-ფისა, სილომონისა; და ძისა: ჩვენისა: ალექსანდრეს: აღ-საზრდელად: განსადიდებლად.11 ხატს მამულები და გლე-ხობა შესწირავს აგრეთვე იმერეთის მეფე როსტომმა (1603 წელს), იმერეთის მეფის გიორგი VI-ის მიუღლო როდამ დედოფალმა (1730 წელს), რაჭის ერისთავმა (1739 წელს), ალექსანდრე ბატონიშვილმა (1810 წელს) და სხვ. ხოლო 1784 წელს იმერეთის მეფე დავითმა ხატის მესარკობით, რომელიც ხატს სილომონისა და ალექსანდ-რის სილომონისაგან უმასხურობდნენ, გაათავისუფლა სხვა გა-დასახადიდან. ასევე, 1807 წელს მარია ამ დედოფალი ხატს

7 იხ. ღვთის აღმარების ანტიკა, გამოცემული თ. ჟორდ-ნას მიერ, ქრონიკები, ტ. II, 1897 წ., გვ. 51.
8 ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოცემა I, პეტერბურგი, 1848 წ., გვ. 309.
9 ს. კაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I, თბ. 1921 წ., გვ. 3.
10 იბიძგ. 1921 წ.
11 გ. წერეთელი, ველათის მონასტრის წარწერათა სრული კრე-ბული, ტ. I, გამოშვება II, მოსკოვი 1891 წ., გვ. 238, წარწერა № 26 რუსულ ენაზე. კანდელზე მოთავსებულ წარწერასთან ერთად აღ-ნიშნული თარიღი და მისი წინა, კანელი შეწირვისა 1774 წ. 7 მარტს, აქონის 91 მისალ წინა, ე. ი. მაღლა სიწილის ოქროს, გე-ლალის სიძველეთა აღწერის წიგნი მოასხენებლათ ეს კანელი და აღნიშნულია, რომ იგი ხახულის ხატის წინ იდგა. იხ. დ. გორდევის მისწერული ველათის სიძველეთა აღწერის შესახებ, სასტრონო მო-აზრებ, 1925 წ. წიგნი I, გვ. 116.

სწირავს ერთ გლესს და სხვა გადასახადებიდან მისი სულგას.

მსგავსი შეწირვები უძველეს ხატს აგრეთვე კერძო პირებმაც.

ამრიგად, საუკუნეების განმავლობაში ხატს განუ-წყველად სწირავდნენ მეფეები, დიდგვაროვანი თავად-ანზნურობა, სამღვდლო პირები და უბრალო მოსახლეობა მამულეს, გლეხებს და სხვა შესაწირს — ფულს, ჭირნა-ხულს და ა. შ.12 ხოლო შეწირული კელაპტრის საწიელი ხატს გამოუღვლეად ჰქონდა. ხატის წინ მუდმივად ენით საწილები. ამას გარდა, თვით ხატზე მრავალი სამკაუ-ლი — სამეფო ბეჭდები და ძვირფასი ქვები იყო მიმარტ-ბული, რომლებიც სხვადასხვა პირის მიერ იყო შეწირუ-ლი. როგორც 1820 წლის აღწერის წიგნიდან ირკვევა, ხატს შემზღული ჰქონდა ორი დიდი და ცხრა მცირე ოქრო, ექვსი ბეჭედი და სამი საყურე.13

ერთის მხრივ თვით ხატის სიმდიდრე (დიდალი მინა-ქრის ლორავინები, ძვირფასი ქვები), ხოლო მეორეს მხრივ ძვირფასი შეწირვის ნივთები გახდა ხატის ხშირი გაძარ-ცვის მიზეზი. ამ გაძარცვის დროს დაიკარგა ხახულის ღვთისმშობლის ხატი, ხოლო მოგვიანებით — შესაწირი ნივთები, რომელთაც ესუღებდ მდიდარი იყო ხატი.14 ეს უძ-ვირფასესი, უნაქალური მინწარბანი სახით და ხელმეცთ შექმული ხატი, საქართველოს ეგზარხატის დაუღერობი-სა და თანხიბობის შედეგად, უგზარ-უკალიდ დაკარგული და როგორც ქართულ სიძველეთა მოყვარული ნ. კონდაკო-ვი აღნიშნავს — დამსხვერუელი, დანწილებული და გა-ყოფილი იქნა.14

გაძარცული ხატის ნაწილები — სახე, ხელედი, შარ-ავანდლისა და ფონის მინაქრის ნაწილები გამოჩნდილი რუსი კოლექციონარის ბოტაჩინის კოლექციამი მოხდა. აქ ეს ნაწილები X-XII საუკუნის ბოზანტის მინაქრის ნიშნებს და იქნა მიჩნეული. ნ. კონდაკოვმა, რომელმაც ეს ფრაგმენტები პირველად ბოტაჩინის კოლექციამი წახა, აღდაგინა მისი თადაპირაჲლი სახე. მან ისინი დაკარგუ-ლი ხახულის ღვთისმშობლის ხატის ნაწილებად მი-ჩინა.15

დასუბული ხატის ადგილი კარელში შევსებული იქნა ახალი რუსული ხატით, რომელიც შემორჩა ბოლო დრომ-ღი. იგი ისეთივე ტიპის ღვთისმშობლის ვიდრების ხატს წარმოადგენს, როგორც თვით ხახულის ღვთისმშობლის მინაქრის ხატი იყო. სახე და ხელედი ფრწურით იყო შეს-რულებული, დანარჩენი კი მოჭარბილი ლითონით.

1952 წელს ხახულის ღვთისმშობლის კარელი გლე-თის მონასტრისად (აქ ის რა საუკუნის განმავლობაში ინახებოდა) თბილისის საქართველოს სსრ ხელოვნების საქალაქო მუზეუმი გადმოიტანეს XIX საუკუნის ღვთისმშობლის ვიდრების ტიპური ხატი კარელიდან ამო-იღეს და მის ნაქვლად ფრაგმენტების ადგილზელი ხახუ-ლის მინაქრის ხატი ჩასვენეს.17 ამჟამად ხატი დაცუ-ლია აქ. სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სეფში. კარელი კარგადაა ჩვენამდე მოღწეული.

12 იხ. ს. კაბაძის ზემოთ დასაბულებული შრომები, წიგნი I და II.

13 დ. გორდევით, მასალები ველათის სიძველეთა აღწერის შესა-ხებ, სასტრონო მოაზრებ, 1925 წ. წიგნი I, გვ. 116.

14 ხატის გაძარცვის შესახებ იხილეთ საეკლესიო კალენდარი და 1904 წლის გაზეთი „ივერია“, რომელთა ფურცლებზეც იბეჭდ-ებოდა ცნობები ველათის მონასტრის გაძარცვის შესახებ.

15 ნ. კონდაკოვი, ღვთისმშობლის იკონოგრაფია, პეტერბურგი, 1915 წ. ტ. II, გვ. 36, რუსულ ენაზე.

16 ნ. კონდაკოვის კომენტა, პეტერბურგი 1911, ტომ. 69 და 91. რუსულ ენაზე.

17 იხ. კონდაკოვის ზემოთ დასაბულებული შრომა, გვ. 305. მი-ნაქრის ეს ფრაგმენტები კონდაკოვის მიერ მიწვეული ქართული ხელოვნების მწიფებულად.

ხახულის ღვთისმშობლის ხატი სამეცნიერო ლიტერატურაში ხანკარ საუკუნეზე მეტია, რაც მოხსენებული და ილუსტრირებული აქვთ რიც მკვლევარებს. მაგრამ ქართული ხელოვნების ეს მნიშვნელოვანი ძეგლი სპეციალური კვლევის საგანი დღემდე არ განხილვია. მკვლევარნი ძირითადად კმაყოფილები იყვნენ ახ მიხილვით და მოკლე დასახათებით (ნ. კონდაკოვი, გ. წერეთელი და მოგვიანებით მ. ამირანაშვილი), ახ მინაწერების დამუშავებით (ნ. კონდაკოვი, დ. ვორდევი, აგრეთვე დასავლეთ ევროპის მკვლევარნი, ბიზანტიოლოგები — დილი და დალტონი) და წარწერების ამოკიხებით (მ. ბროსი, დ. ბაქრაძე, გ. წერეთელი). მკვლევართა მიერ მოცემული ცნობები მოქმედლობის — ორნამენტის ხასიათის, მისი შემსრულებელი ოსტატების და თვით მასალის შესახებ, ზუსტი არ არის.

ხატი მოხსენებული იყო როგორც ქართულ ძეგლებთან, ასევე ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშებთან ერთად, რადგან სამკაულები — მინაწერის ლორწონების უმეტესობა მკვლევართა მიერ ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშებად იყო მიჩნეული.¹⁷ კარდის მოქედლობა კი, თუმცა საქართველოში ქართული ხელოსნის მიერ შესრულებულად მიიჩნეოდა, მაინც ფიქრობდნენ, რომ მისი მთლიანი კომპოზიცია, ცალკეული დეტალები და თვით ორნამენტი, თავისი ხასიათით, ბიზანტიური ტიპისა იყო. ამ აზრს გამოსიტყვება ნ. კონდაკოვი, მას იხიარებდნენ აგრეთვე დილი და დალტონი. ლიტერატურაში დღემდე გაბატონებული იყო შეხედულება, რომ ხახულის ხატის კერძო მთლიანად მოქედლია ოქროში მოვარაყებულ ვერცხლით და რომ მთელი კარდის მოქედლობა შესრულებულია ერთი ოსტატის მიერ.¹⁸


ამრიგად, დღესაც ხახულის ხატი ხახვს სანიტერისო პრობლემაზე მეცნიერული კვლევისათვის, რადგან მისი ჭედლობა და მასალა დღემდე დაუმუშავებელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარდის ფონი დაფარულია ჭედური ფოთლოვანი ორნამენტით. ორნამენტი მთლიანად სადა ფონზეა ამოყვანილი. იგი თავისუფლად გითარდება მთელს არეზე. ღეროების ეს თავისუფალი დინება ფოთლების ვარშეში წრეებს ქმნის, რომელიც ხშირად ორ წრედ დაკავება მას. ყოველი წრის შიგნით სხვადასხვა რაოდენობის სტილიზებული ფოთლოვანი მოთავსებული. ღეროებს ხშირად თან ახლავს კაუჭები, რასაც თავისებური მხატვრული ელფერი შეაქვს ორნამენტში. ჭედური შესრულებული ორნამენტის განლაგება ითვალისწინებს მთელ არეზე გაზნულ სხვადასხვა ზომის და ფორმის მინაწეროვან სამკაულებს და ძვირფას ქუებს. ამისდა მიხედვით იცვლება სიდიდე და ფორმა წრეებისა.

კარდის საერთო კომპოზიციის შექმნისას მხატვრულად გააჩრებულია როგორც ყველა თვალაირველად გასაჩნეული საზღვრული თიხაქვის ლორწონების ადგილი, ასევე თვით ჭედურიანი ხასიათიც, კარდზე ჩაფიქრებულია როგორც ღვთისმშობლის მინაწერის ხატის შესახებ მხატვრული ჩაროი, ჩაროის დანიხულებას კარტები და ცენტრალური ნაწილის თავსა და ზოლოთი მოთავსებული ახალღეული ნაწილები ასრულებენ. მათ შორის მოქედული არე ფონის მიხაქერის ხატისათვის. ეს ჩანაფიქრი კარგადაა მოღწეული ახ ნაწილების განსხვავებული დასუშავებით. კარდის ცენტრალური ნაწილზე (ხატის ვარემო არე), სადაც თავმოყრილია სამკაულების უმეტესობა, ორნამენტი ბევრად უფრო მცირე ზოიასა და დაბალი რელიეფით დასუშავებული, ვიდრე ჩაროზე. ამით შეიქმნა უფრო მეტად აცვლენ და ნთლად გამოყოფს კარდის სამკაულების დანიხულებას — ფრთა აქცენტების შექმნას, ხოლო თვით ჭედურს კი ფონის დანიხულებას ანიჭებს. ჩაროზე კი თვავარია არა ფრთა აქცენტებით, არამედ ორნამენტული დეკორი. ამიტომ ორნამენტი უფრო მსხვილია და ბაღალი რელიეფით შესრულებული. ახ ნაწილზეა მოქედული დიდი აქცენტები — მხატვრულად დასუშავებული ვარდლები და მინაწერთი და ძვირფასი ქვებით მორთული დიდი ჯგერები. ამრიგად, ლორწონები, წმინდანთა გამოსახულებებით, განსაზღვრავენ ხატის შინაარსობრივ მხარეს, ხოლო ჭედური ახ შემთხვევაში ფონის დანიხულებას ახარებს და წმინდა დეკორატიული ხასიათის ელემენტად გვევლინება.

ხახულის ხატის მოქედლობის ორნამენტის მოტივი — წრეში მოთავსებული ფოთლოვანი ორნამენტი, მეტად გავრცელებულია შუასაუკუნეების საქართველოში. XI-XII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლებზე — მღვიმეის, კაცხის ხატებზე, ანჩისხატზე და სვანეთში შე-

ქვედა ჩარჩოს ვარდლი



17 ხახულის ღვთისმშობლის მინაწერის ხატის ფრაგმენტები, რომლებიც ინახებოდა ბოტკინის კოლექციაში, 1923 წლის ცვლად გენილების საფუძველზე დაბრუნებული იქნა საქართველოში. იხ. მ. ამირანაშვილი, ბეჭა ოპიზარი თბ. 1956 წ. გვ. 39.

18 მ. დილი — Manuel d'art byzantin, პარიზი 1910 წ. თავი X. გვ. 653.

დალტონი — Byzantine art archeology, 1911, თავი VIII, გვ. 528-531.

19 თუმცა მ. ამირანაშვილი, რომელიც თავიდანვე იხიარებდა ამ აზრს (იხ. მისი შრომები — ბეჭა ოპიზარი, თბ. 1937 წ. ქართულ და რუსულ ენებზე, ქართული ხელოვნების ისტორია, მოსკოვი 1950 წ. რუსულ ენაზე და პოპულარული ლექციების ციკლი — Вклад Грузии в сокровищницу художественной культуры, თბ. 1956 წ., სადაც კარდის მასალად ოქროში მოვარაყებულ ვერცხლს ასახელებს და მის შესრულებას ერთ ხელოსანს მიაწერს). ბეჭა ოპიზარის II გამოცემაში, თბ. 1956 წ. კარდის მასალად უკვე ოქროსა და ოქროში მოვარაყებულ ვერცხლს ასახელებს, ხოლო მის შესრულებას სამ ხელოსანს მიაწერს. მაგრამ არ არის განსაზღვრული რომელ ხელოსანს რა ნაწილის შესრულება შეეძლებოდა და რა მისაზრების გამო.



მონახულ რიგ ხატებზე ხშირად გვხვდება ეს მოტივი. მაგრა აღსანიშნავია, რომ ყველა ფეკლი მის სხვადასხვა ვარიანტს იძლევა. ყოველ შემოქმედს საკუთარი სიახლე და ნაირსახეობა შეაქვს ორნამენტში. ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარვლზედაც სწორედ ამ ორნამენტის ერთ-ერთ სახეობას, ერთ მის ვარიანტს ვხვდებით. ყოველი ეკლესიის ალსტიკური დაბეჭდვებით ხახულის ხატის ორნამენტს ახლოს დავს XI საუკუნის ძეგლებთან, მაგრა ამ ამასთან, მათგან განსხვავებით, მისთვის დამახასიათებელია დეკორატიულობის განსაკუთრებული ხაზგასმა და მეტად რთული ნახატი.

კარელის მოქვილობის გაცნობისას ყურადღებას იმყრობს ის გარემოება, რომ თავისი ხასიათითა და ქედურობის მანერით იგი სრულ ერთგვარონებას არ ამქალენებს. ეს განსხვავება შესაძინევი ხდება კარელის დეტალური შეწვალის შემდეგ. ნახატისადმი თავისებური მიდგომით და მისი დაბეჭდვის განსხვავებული ხასიათით გამოიყოფა სასეგნით დამოუკიდებელი, სხვადასხვა ნაწილი. ყოველი მათგანის დამუშავებაში იგრძნობა ინდივიდუალური გემოვნება, ხოლო მხატვრული ეფექტის გაძლიერების მიზნით გამოყენებულია დამატებითი ტექნიკური ხერხები. ეს თავისებურება ყველგან მკვეთრად კარების დამუშავებაში იგრძნობა. პირველ ყოვლისა, ორნამენტის კომპოზიციურ განლაგებაში გამოიხატება. ორივე კარი მსგავსი ფორმოვანი ორნამენტითაა მოჭედილი, მაგრამ ნახატის განლაგება სხვადასხვაგვარია. ერთისათვის — მარცხენა კარისთვის და მახასიათებელია ორნამენტის თავისუფალი განლაგება, სისადავე, ხოლო მეორისათვის — ფონის მთლიანი შევსება და ორნამენტის მჭიდროდ განლაგება.

მარცხენა კარის ორნამენტი არ არის გადატვირთული ცალკეული დეტალებით. იგი თავისუფლად, გამწვანად ვითარდება მთელ არეზე. კაუქები მეტად მცირე რაოდენო-

ბითაა ნახშირი. ბატარა კაუქების ნაცვლად ტყვითაა შევსებული და გვხვდება მარჯვენა კარზე, აქ ვხვდებით დიდ კარვლებს, რომლებითაც წრეებია გადაკვეთილი და მის გარეთაა შემონახული. ორნამენტის იესო განაწილებული და განლაგებული, რომ მორანს ღვთისის სადა შედარაირი. განვისუფალი, შეუსვენელი ნაწილი, რომელიც ფონის დანაწილებას ასრულებს, კომპოზიციში გარკვეულ მხატვრულ როლს თამაშობს. მოცემულია დაპირისპირება ღვთისის სადა შედარაირსა და რელიეფურ ორნამენტს შორის, რაც ორნამენტის ნახატს მკაფიოს და ნათლად ხედავს თავისებურია ამ ნაწილზე თვით ორნამენტის შესრულების მანერა, ორნამენტი გადმოცემულია თანხანარი, ერთნაირი რელიეფით, რომელიც იშვიათადაა დარღვეული. არსად არ გვხვდება ფონისაგან მკვეთრად გამოყოფილი ხატები. ფონისაგან ვადასვლა რბილი და თანხანარია.


სხვაგვარადაა გადაწყვეტილი მარჯვენა კარის. ის სისადავე და თავისუფლად, ოთხეულ მარცხენა კარის ახასიათებს, აქ დაკარგულია. ფონი მჭიდროდ და მთლიანად შევსებული ოთხეული ორნამენტით. იგი შედარებულად გადატვირთული ოთხეული შემორკალითა და მკაფიოდ ხასიათი, ოთხეული ბატარა, ისევე მხატვრულად დაბეჭდვით და ილი კაუქებით. აქ აღარ გვხვდება სადა შედარაირი და რელიეფური ნახატის დაპირისპირება, რადგან ფონს კვლავ კაუქებითაა შევსებული. ხოლო ორნამენტის დეტალების ფერ-ხალები სითლლი დაბეჭდვითაა კი უფრო მეტად აქრებულია ამ ნაწილს და თვალსაღწევი ასხვავებულია კარის თავისუფალი დამუშავებისაგან. აქცენტრებულია ფოთოლი, რომელიც მკვეთრად შემონახულია და ხაზებით შედარებით მაღალი რელიეფით გადატვირთული. ამ ნაწილზე ყურადღებას პირველად მაღალი რელიეფით დაბეჭდვული ფოთლები იხიდავენ, ისინი ნათლად გამოიყოფა დეროების წყნლისაგან, ხოლო შედეგ ხდება მათ გარემოდ დახვეული დეროების ათვისება ამრიგად, ამ ნაწილზე ყურადღება იფანტება ორნამენტის ცალკეულ დეტალებზე, მაშინ როდესაც მარცხენა კარზე ორნამენტი აღიქმება ერთნაირად, ერთ მთლიანობაში ორნამენტის ამგვარი საერთო კომპოზიციური გადაწყვეტისა და მისი ფერსრულების მახერის გახსავებასა და დაკენამდე მიყვავართ, რომ კარები სხვადასხვა ოსტატ მიერ უნდა იყოს შესრულებული. ამას უფრო ცხადად აღსატურებს ცალკეული დეტალების შედარება.

მარცხენა კარის თავისუფალი ნახატი, ხშირად მუშაობის პოოცესის ორნამენტის შევსება, არათანაფარდობ დეტალების დამუშავებაში და სხვა მსგავსი წერტილბა პირველებზე, რომ ხელოსანი შემოქმედებითად უღვე ორნამენტის ტექნიკური შესრულების პოოცესს. ყოველ დეტალის დამუშავებაში ხელოსანს სიახლე და თავისებური გაგება შეაქვს. უფრო ნაკლებ დამოუკიდებლობა იჩენს მთორ ხელოსანი, რომელიც მარჯვენა კარის ორნამენტს ასრულებს. იგი არასოდეს არ უხვევს გვერდს წინასწარ მოცემულ ნახატს, ემორჩილება მას და შედამწვინითი სიხუსტით ამუშავებს.

ხელოსნების განსხვავებული მხატვრული მიდგომი მოვლასინო მავლითის წარმოადგენს კარების ბოლო მთავარსებულ წარწერები. წარწერა შესრულებულ სხვადასხვა ხელით. მარცხენა კარის წარწერა გაკეთებულია მოხდინილი მრგვალი ასოებით. ყველა ასო გამოკვეთილია და მხატვროდ დამუშავებული წერტილები ზოგან ბატარა განმტობებით და კაუქებით. ასოები მშუალო ზომისაა და არა თანაბრად განლაგებული. თუ ერთი სტრიქონი მჭიდროდ დაწერილი ასოებისაგან შედგება, სამკვირვოდ მთორ სტრიქონში ასოები ერთმანეთსაგან ზომამე მეტადაა დაშორებული. ეს იმიტომ ხდება რომ ხელოსანი თანაფარდობას იცავს არა სიტყვებში არამედ სტრიქონებს შორის.

მარჯვენა კარზე გამოყვანილი ბატარა ზომის ასოები კუთხოვანი მონახულობაა აქეთ. ყოველი ასოს ოთხივე მხ-

ზედა ჩარჩოს ვარდული



რეს ოსტატი კაუჭებს უკეთებს, რაც მეტ დეკორატიულობას მატებს მას.

ამრიგად, წარწერის მხატვრული დამუშავება სავსებით შეუფარდება ყოველი კარის საერთო მხატვრულ დამუშავებას. იგი ერთგვარად აგრძელებს ყოველი მათგანისათვის დამახასიათებელ თავისებურებას და კიდევ ერთხელ, ახალ უსაგამს ორივე ხელოსნის განსხვავებულ მხატვრულ გემოვნებას.


ასეთივე განსხვავებული ხელი და გემოვნება იგრძნობა კარედის ცენტრალური ნაწილის შესრულებაშიც. აქ, ვირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს განსხვავება კომპოზიურ აგებაში. მიუხედავად ორნამენტის დაბალი რელიეფისა, აქაც იგივე ხერხითა და იგივე მანერითაა დამუშავებული მათი ყოველი დეტალი.

ამრიგად, მივლივართ იმ დასკვნამდე, რომ კარედი მთლიანად მოქედლია ორი ხელოსნის მიერ. ერთ ხელოსანს ეკუთვნის მარცხენა კარის და ცენტრალური არის უმეტესი ნაწილის ზედა ჩარჩო, ფონის ზედა ნახევარწრიული არხისა და ხატის მარცხენა ნაწილის დამუშავება. მეორე ხელოსნის მიერ კი შესრულებულია მარჯვენა კარის, ხატის მარჯვენა და მის ქვემოთა არე, აგრეთვე ქვემოთა ჩარჩო.

ორივე ხელოსანი შემოქმედების ხასიათითა და მხატვრული გეოსტატიკით ერთმანეთისაგან განსხვავდება. მარჯვენა კარის ოსტატისათვის მთავარია მაღალი ოსტატობით შეპარულთა წიასწარ განსაზღვრული კომპოზიცია. მარცხენა კარის ოსტატი კი, ქმნის და ასრულებს ერთნაირულად. მაგრამ ორივე ხელოსანს აერთიანებს ერთი იდეა — დეკორატიული და დიდრული სივითი შექმნის სურვილი. მათ შორის, როგორც ჩანს, მთავარი მარცხენა კარის შემსრულებელი ოსტატი უნდა იყოს. მას უდაკეთუნოდეს ხადის მთლიანი კომპოზიცია და საერთო ხელაძევაელომაც. ამიტომაც, რომ სახუმაოს იგი შემოქმედებითად უღებია მამისი, როდესაც მეორე ხელოსანი გვევლიება წიასწარ მოქმული ესკიზის შემსრულებლად. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ იგი წიასწარ მოქმულ სქემათა თავისებურად ამუშავებს, მაინც ხშირად მიიასეკელომბაში ვარდება. ის ოდნავი ცვლილება, რომელიც მას შეაქვს კარედის ორნამენტის შეარულებაში, გააძინანარობს მისი მხატვრული გემოვნებიდან. პირველი ხელოსნის სისადავე და ორნამენტის თავისუფალი გასლაგება მას არ აკმაყოფილებს, ამიტომ მისთვის დამახასიათებელი გადატკიროფლომის შთაბეჭდილებებს უბრალო ხერხით — ორნამე შემოკალკვითა და ორნამენტული დეტალების გახშირებით აღწევს.

ტექნიკურად კარედი მთლიანად მაღალი ოსტატობითაა შესრულებული. კარედის შემსრულებელი ორივე ხელოსანი ბრწყინვალედია დაუფლებული ქვიდური ხელოვნების ტექნიკას და გველინებიან დასრულებულ დიდ ოსტატებად.

კარედის მასალის შესახებ ერთმანეთის საწინააღმდეგე ორი ცნობა გვაქვს. ერთი მის მასალად ოქროს მიიჩნევს, მეორე კი — ოქროში მოვარყებულ ვერცხლს. გელათის სიძველეთა 1820 წლის აღწერის აქტში ვკითხულობთ:



მარჯვენა კარის წარწერა

„ხატი ხახულისა ღვთისმშობლისა, ბუდე ამისა და კარნი შექვილილი ოქროთი, ფდ მდღერულად შემკული.“²⁰ ამ აღწერით, უნდა ვიგულოდო, რომ კარედი მთლიანად ოქროთი ყოფილა მოქედლი. ამავე აზრს იმეორებს გ. წერეთელი, რომელმაც კარედის წარწერებთან ერთად მოგვცა მისი ზოგადი აღწერაც.²¹

ნ. კონდაკოვი კი კარედის მასალად ოქროში მოვარყებულ ვერცხლს მიიჩნევდა.²² იგივე აზრი გამოსთქვა თავისი შრომებში შ. ამირანაშვილმაც და ერთგვარად გამატიკიცა ნ. კონდაკოვის წარმოქრილი აზრი.²³

ამრიგად, მიუხედავად არბთა სხვადასხვაობისა, კარედის მასალად მივდებუი იყო ოქროთი მოვარყებული ვერცხლი, და ბოლო დრომდე ასე იყო ცნობილი.

კარედზე დაკვირვება ექვს ზადებდა მთელი კარედის მასალი ერთიანობაზე, რადგან ცენტრალური ნაწილის ღრმა, ბუნებრივი ოქროს ფერი და მისი ბზინვარება გამოიყოფოდა კარედის ჩამქრალი ოქროსფერი ტონისაგან²⁴, კარედის ლითონის შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ კარედის ცენტრალური ნაწილი მოქედლია მაღალი სინჯის ოქროთი, ხოლო ორივე კარი ოქროთი მოვარყებული ვერცხლით. მოვარყება ძველი წესით, ცეცხლის საშუალებით არის ჩატარებული და ამიტომ მოიქრობება ღრმა, ამან გამოიწვია ეს შეცდომა.

ხახულის ღვთისმშობლის კარედი ხატი შუასაუკუნეების ქართული ოქრომქედლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, მისი მაღალი ოსტატობით შესრულებული ძეგლობა და მინანქრის სამკაულები მას მსოფლიოში განთქმული ძეგლების ვერდით აყენებს.

²⁰ იხ. დ. გორდევის ზემოთ დასახელებული შრომა, გვ. 116.

²¹ გ. წერეთელი, გვ. 250

²² ნ. კონდაკოვი — საქართველოს გელსია-მონასტრებში დაეულ სიძველეთა აღწერა. პეტერბურგი, 1890 წ. რუსულ ენაზე.

²³ შ. ამირანაშვილი. ბეკა ოპიზარა. 1937 წ. გვ. 39.

²⁴ ამიტომ ჩვენს მიერ 1958 წელს ჩატარებულ იქნა ცდა კარედის მასალის დადგენისათვის.





თოჯინა „გელა“ (მ. გოგინაიშვილის „ტყის მეგობრები“)

მხატვარი ირაკლი მდივანი

ოთარ ოთარაშვილი

ცნობილია, რომ ბავშვისათვის მხატვრული ნაწარმოების შექმნა ურთულესი ამოცანაა. ჭეშმარიტებაა მაქსიმ გორკის ნათქვამი, ბავშვისათვის კიდევ უფრო უკეთ არის საჭირო წერა, ვიდრე დიდებისათვის. ასევე სახვით ხელოვნებაშიც. ნაწარმოებში, უპირველეს ყოვლისა, გავალისწინებული უნდა იყოს ბავშვის აღქმის თავისებურება, მხატვრული ფორმა უნდა იყოს უაღრესად რეალისტური, სადა და ლაკონური, ამავე დროს გემოვნებით აღბეჭდილი, ვინაიდან სწორედ პატარობიდანვეა საჭირო დაამყაროს გემოვნების ჩამოყალიბება და განვითარება.

თოჯინების თეატრი ბავშვთა მხატვრული და ინტელექტუალური აღზრდის ერთ-ერთი პოპულარული სასწრაფოა ჩვეს. ქვეყანაში. ისევე როგორც ჩვენი ძირითადი თაობის კომუნისტურად აღზრდის სხვა საშუალებანი, თეატრალური სანახაობანი ჩვენი პარტიისა და მთავრობის ყურადღებითა და ყოველდღიური მზრუნველობითაა გარემოებული. თეატრის მოღვაწეები, განსაკუთრებით ათეანთ სასკოლო ამოცანას, მთელი პასუხისმგებლობით და სიყვარულით ემსახურებიან მოზარდ თაობის იდეურ-მორალური და ესთეტიკური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ჩვენს ქვეყანაში ბევრ ხელოვანს შეუძლია იამაყოს იმით, რომ ათეული წელი და თითქმის მთელი სიცოცხლეც კი ახალგაზრდობის აღზრდას მიუძღვნა.

მომავალი თაობის მოამაგე ხელოვანთა მწყობარში დგას თბილისის თოჯინების ქართული თეატრის მხატვარი ირაკლი მდივანი. ოც წელია გატყუებით ემსახურება ის თავის საყვარელ საქმეს. ვერცლია აი იხის განმავლობაში მის მიერ გაფორმებული სპექტაკლების სია, და ეს გასაგებია: ირი ათეული წლის ახსილზე ირაკლი მდივანი შეუცვლელი მხატვარია ამ თეატრის მრავალრიცხოვანი სპექტაკლებისა („ბაკო“, „ალადინის ჯადოსნური ლამპარი“, „თოვლის პაა“, „მამლუკაისა თევზ-დასავალი“, „ორი ქოსატყუილა“, „ბაკი-ბუკი“, „ამარტავანი კურდღელი“, „მეფოსრები“, „ორი ძმა“, „წიქარა“, „შელის ხუკი“), ამ და სხვა შრავალი ბავშვებისთვის საყვარელი სპექტაკლის წარმატების ერთ-ერთი პირობა მხატვრის შთაგონებული ნამუშევარია.

ირაკლი მდივანმა 1930 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. 1931 წლიდან 1939 წლამდე სპექტაკლეს აფორმებდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქების და რაიონების დამატულ თეატრებში, კერძოდ, ქუთაისის, ველისციხის, ხაჭურისა და თბილისის სუბამალგაზრდობის თეატრებში. 1938 წლიდან დღემდე ირ. მდივანი თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრის მთავარი მხატვარი და მისი დიდი მოამაგეა.

რეცესიები ძალად შეფასებას ააღწერს მხატვრის ნამუშევრებს. აი ორიოდე ამონაწერი: „ორი ძმა“ სანტერეოდაა ჩაფიქრებული. სპექტაკლის მხატვრული გაფორმება, მხატვარი ირ. მდივანის დეკორაციები დიდად უწყობენ ხელს სპექტაკლის წარმატებას — წერს გავ. „ლიტ.“ და ხელოვნება“ 1953 წ. 27/ III. „შელის ხუკი“ შესანიშნავადაა გაფორმებული. მხატვარი ირ. მდივანის ნამუშევარი ძალად შეფასებას იმსახურებს. მოქმედებიდან მოქმედებამდე, სცენიდან სცენამდე ნორჩი მაყურებელი ჯადოსნური მინიატურული ბუნების წიაღში დაცურავს და დამაბულად ადევნებს თვალყურს ამ მომხიბველ ფონზე გამოილ მოქმედებას“ („სახალხო განათლება“, 1957 წ.).

